# ხელშეკრულება №010

## აუდიტორული მომსახურების გაწევაზე

ქ. ქუთაისი 05/05/2011 წ.

### ხელშეკრულების მონაწილე მხარეები

„დამკვეთი"
*დასახელება:* *ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. ცუცხვათის საჯარო სკოლა*
*მისამართი:* *ტყიბული სოფ. ცუცხვათი*
*დირექტორი:* *ირინა ბერეკაშვილი*

„შემსრულებელი"
*დასახელება:* *შპს „აუდიტი-2007" (რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონით მეწარმეთა შესახებ (სერტიფიკატი №5/237) და წესდებით)*
*მისამართი:* *ქ. ქუთაისი თამარ მეფის 30*
*დირექტორი, აუდიტორი:* *ავთანდილ სულამანიძე*

„დამკვეთი" და „შემსრულებელი" ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:
„დამკვეთი" გასცემს, ხოლო „შემსრულებელი" ღებულობს ვალდებულებას 2010 წლის საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული მომსახურების გაწევაზე:

### მუხლი 1. სახელშეკრულებო ვალდებულებები

1.1. „დამკვეთი" ვალდებულია „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" კანონის თანახმად შეუქმნას აუდიტორულ ფირმას /აუდიტორს/ აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო პირობები. მიაწოდოს ყველა სახის დოკუმენტი, რომელიც შეეხება აუდიტის საგანს, აუდიტორს მოთხოვნისთანავე მისცეს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება ორგანიზაციის აუდიტის საგანთან დაკავშირებით. ოპერატიულად აღმოფხვრან აუდიტით გამოვლენილი შეცდომები.
1.2. „შემსრულებელი" ვალდებულია მოქმედ კანონმდებლობასთან და დადგენილ ნორმატივებთან სრულ შესაბამისობაში განახორციელოს კვალიფიციური აუდიტორული შემოწმება. შეინახოს აუდიტის დროს მიღებული ინფორმაცია. აუდიტორულ ფირმას /აუდიტორს/ ეკისრება ვალდებულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
1.3. სამუშაოს შესრულება დაიწყოს 2011 წლის 05 მაისს და დამთავრდეს 2011 წლის 12 მაისს.
1.4. აუდიტორულ სამუშაოთა ღირებულება მხარეთა შეთანხმებით განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარით.
1.5. „დამკვეთი" ვალდებულია სამუშაოს ღირებულების 50% გადაიხადოს სამუშაოების დაწყებამდე. დარჩენილი თანხის გადახდას „დამკვეთი" ახდენს აუდიტორული დასკვნის მიღებიდან სამი დღის ვადაში.
1.6. „დამკვეთი" ვალდებულია აუდიტის მიერ წარმოდგენილი დასკვნები და სხვა სახის დოკუმენტები განიხილოს და მიიღოს ან წაუყენოს დასაბუთებული პრეტენზიები წერილობით სამი დღის განმავლობაში დღიდან წარმოდგენისა, სხვა შემთხვევაში სამუშაო ითვლება შესრულებულად და „დამკვეთი" ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

### მუხლი 2. ანგარიშსწორების ანგარიშები და მხარეთა მისამართები

„დამკვეთი" *დასახელება: ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. ცუცხვათის საჯარო სკოლა*
*მისამართი: ტყიბული სოფ. ცუცხვათი*
*ლიბერთი ბანკი ტყიბულის ფილიალი*
*ანგარიში: GE70LB0111251724200*

„შემსრულებელი" *შპს „აუდიტი-2007"*
*ქ. ქუთაისი თამარ მეფის 30, ტელ. 5-32-11*
*თიბისი ბანკის ქუთაისის ფილიალი,*
*ა/ა №23136020160202 კოდი №220101888*

ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, ერთი ბარდება დამკვეთს, ერთი რჩება შემსრულებელს.

„დამკვეთი" ______ (ხელმოწერა, ბეჭედი)

„შემსრულებელი" ______ (ხელმოწერა, ბეჭედი)